უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი

15.02.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ნუგზარ სხირტლაძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მაკა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი;
ლევან იმნაიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
ნანა შარიქაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
თამარ იოსელიანი - სსიპ - საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
გიორგი ისაკაძე - ა(ა)იპ - ბიზნესმედია საქართველოს დამფუძნებელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთი ცოტნიაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
თამარ შენგელია - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
მარიამ ღამბაშიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
თინათინ დვალიშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
სოფიო ვასაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სასულიერო წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

ლაშა ჩეკურიშვილი - საქართველოს საპატრიარქოს განათლების კომიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის კურატორი.

შპს თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ ჰიპოკრატეს წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

დავით კიტეიშვილი - რექტორი;
ლაშა ჩახვაძე - საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის უფროსი;
ნონა ჭანტურია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლელა თვარაძე - იურისტი;
ია ჯავახიშვილი - დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

ლუკა თვარაძე - იურისტი;
აკაკი ცომაია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ირაკლი მორგოშია - საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის უფროსი;
ლევან ბარდაველიძე - დამფუძნებელი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ლია ღლონტი;
თამარ გაიხარაშვილი;
ნატო ალავიძე;
ირმა მანჯავიძე;
ნიკა გვაზავა;
ირმა გრძელიძე;
გოჩა თუთბერიძე;
ნინო ამირანაშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:15 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის

№99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარიის მიერ ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ ჰიპოკრატეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

საბჭოს წინაშე შუამდგომლობა წარადგინა ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა, დაწესებულების წარმომადგენელთა და ექსპერტთა დაგვიანებით გამოცხადების გამო, დღის წესრიგით განსახილველი საკითხების რიგითობის შეცვლის თაობაზე.

საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ წარმოდგენილ შუამდგომლობას.

შესაბამისად, თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარიის მიერ ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ ჰიპოკრატეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის ახალი დღის წესრიგი.

1. შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას, შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით საბჭოს მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირმა გრძელიძემ. ექსპერტის განმარტებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეფასდა ავტორიზაციის ძველი სტანდარტებით, რადგანაც შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიაში ვიზიტი განხორციელდა 2017 წლის 7 და 8 დეკემბერს. იმ დროისთვის არსებული რეგულაციებით კი, 2018 წლის 1 იანვრამდე განხორციელებული მონიტორინგის შეფასებები უნდა მომხდარიყო ავტორიზაციის ძველი სტანდარტებით. ექსპერტმა წარადგინა ის ძირითადი მიგნებები, რომლებიც დაფიქსირდა ავტორიზაციის თითოეულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენისას.

ირმა გრძელიძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფი მიღებული ინფორმაციის შეფასების შედეგად მიიჩნევდა, რომ **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან; **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან; **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს და ასევე, განაცხადა, რომ საბჭოს წევრები იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, აკაკი ცომაიას, განცხადებით, ვიზიტის დროს, ინსტიტუციამ მართლაც წარადგინა 2014 წლის საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები. აღნიშნულ სილაბუსებში 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესში" შესული ცვლილებები ვერ იქნებოდა ასახული, რადგანაც ცვლილება განხორციელდა 2014 წლის შემდეგ. თუმცა აღსანიშნავია, რომ ინსტიტუციამ ექსპერტთა ჯგუფს ასევე წარუდგინა მიმდინარე სასწავლო წლის სილაბუსები, სადაც აღნიშნული ცვლილებები ასახული იყო. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ცვლილება ყველა სილაბუსში ეტაპობრივად მოხდებოდა, მათი სასწავლო პროცესში ჩართვის დროისთვის, ისინი განახლებული იქნებოდა.

არჩევანის გამჭვირვალობასთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას არ ჰქონდა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის შექმნის ვალდებულება და სტუდენტს შეეძლო ელექტრონული სისტემის გარეშე თავისუფალი არჩევანის გაკეთება. ასევე, ფინანსური მიზნებიდან გამომდინარე, დაწესებულებას ჰქონდა უფლება, კონკრეტული სასწავლო კურსის განხორციელებისთვის დაედგინა სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა. ამ შემთხვევაში, დაწესებულებამ გამოიყენა აღნიშნული უფლება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ირმა გრძელიძის, განმარტებით, სტუდენტთა ინტერვიურების დროს, სტუდენტთა არჩევანის გამჭვირვალობა არ დადასტურდა. ამასთანავე, ერთ-ერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ მას არ ჰქონდა ელექტრონული ფოსტა, შესაბამისად, მისთვის ხელმიუწვდომელი იყო სასწავლო ლიტერატურა.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სტუდენტებს სასწავლო მასალა ნამდვილად ეგზავნებოდათ ელექტრონულ ფოსტაზე და აღნიშნულის დასადასტურებლად სხდომაზე წარმოდგენილ იქნა ამონაწერი.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის არქონასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვიზიტის დროს, დაწესებულებამ ნამდვილად ვერ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელშიც ასახული იქნებოდა რაიმე ცვლილება ავტორიზაციის და აკრედიტაციის ვიზიტის დასკვნებიდან გამომდინარე რეკომენდაციების გათვალისიწინებით. თუმცა, მისი განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ დაწესებულებამ მფლობელი, მენეჯმენტი და ადგილმდებარეობა შეიცვალა 2 თვის წინ, ვიზიტის დროს კი, დოკუმენტაციის და ასევე, სხვა მატერიალური რესურსების უმრავლესობა იყო დალუქული და დასაწყობებულ მდგომარეობაში. ამასთანავე, ამავე პერიოდში მიმდინარეობდა ძველი მენეჯმენტისგან ახალი მენჯმენტისთვის დოკუმენტაციის გადმობარების პროცესი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენისთვის დაწესებული ვადა არ იყო საკმარისი. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტიდან 2 დღეში გაირკვა, რომ დაწესებულებას გათვალისწინებული ჰქონდა რეკომენდაციები აკრედიტაციის ვიზიტის დასკვნიდან გამომდინარე და ასევე გააჩნდა ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პრაქტიკა, საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულებას შეეძლო აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, დოკუმენტაციისა და სხვა მატერიალური რესურსის დალუქულ და დასაწყობებულ მდგომარეობაში ყოფნა უშლიდა თუ არა ხელს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობას.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სასწავლო პროცესის შეუფერხერბლად მიმდინარეობისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი მათთვის ხელმისაწვდომი იყო.

დაწესებულების მისიის ბუნდოვანებასთან დაკავშირებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ დაწესებულების ახალი გუნდი იყო რამდენიმე მილიონიანი ინვესტიციის მოლოდინში, შესაბამისად, ახალი ამბიციური პროექტების ფარგლებში, გუნდს სურდა, აღნიშნული ინიციატივები ასახულიყო დაწესებულების მისიაში. აქედან გამომდინარე, გუნდი ცვლიდა მისიას და სტარტეგიას არა იმიტომ, რომ მისია ბუნდოვანი იყო, არამედ გეგმავდა მის გამრავალფეროვნებასა და დახვეწას.

რაც შეეხებოდა დაწესებულების სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებსა და დაწესებულების სტრუქტურას, დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ისინი იცნობდნენ დაწესებულების სტრუქტურის ძველ ვერსიას, თუმცა, მათ არ ჰქონდათ დეტალური ინფორმაცია სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების შესახებ. ამასთანავე, ახალი მიზნებიდან და გეგმებიდან გამომდინარე, მათ შეიმუშავეს ახალი სტრუქტურა- შეიცვალა სამსახურის დასახელება, ფუნქციები.

ცეცხლმაქრთან დაკავშირებით დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ ვიზიტის პირველ დღეს ცეცხლმაქრები არ იყო დამონტაჟებული დაწესებულებაში. მისივე განმარტებით, აღნიშნული ცეცხლმაქრები დასაწყობებული იყო დაწესებულების ბიბლიოთეკაში.

წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება დაცვის პოლიციასთან, კერძოდ, შპს უშიშროების სამსახურთან - „იმედი" და ამჟამად, სტუდენტთა მცირე რაოდენობის გამო, დაწესებულება არ მიიჩნევდა საჭიროდ, მოეწვია დამატებითი ცოცხალი ძალა. ამჟამად, დაწესებულებას ჰყავდა გამოყოფილი ადმინისტრაციიდან ერთი თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფდა დაწესებულების უსაფრთხოებას.

ბიბლიოთეკის ფონდთან მიმართებით დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ ვიზიტის პერიოდში დაწესებულების ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი არ ფუნქციონირებდა და სწავლის დაწყებიდან შვიდი კვირის შემდეგ წიგნები ჯერ კიდევ ყუთებში იყო დასაწყობებული. დაწესებულების წარმომადგენელმა აქვე განმარტა, რომ ვიზიტის პერიოდში ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ექსპერტებს წარუდგინა ელექტრონული კატალოგი, რომელშიც შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გადამოწმების შედეგად დადასტურდა სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, თუმცა, ზემოაღნიშნული მიზეზის გამო მათი მატერიალურად ფლობის შემოწმება ვერ მოხერხდა.

დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით, ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდნენ საქმისწარმოების წიგნებს. აღნიშნული წიგნები მათ წარმოადგინეს საბჭოს სხდომაზე და განაცხადეს, რომ დაწესებულება მზად იყო, აღნიშნული წიგნები აკინძვის თარიღის დადგენის მიზნით გადაეცა ექსპერტიზისთვის. ექსპერტთა ჯგუფის წევრების განმარტებით, ვიზიტის პერიოდში ისინი გაეცნენ საქმისწარმოების მასალებს, რომელიც არ იყო სათანადო ფორმით წარმოებული და შესაბამისად, არ დასტურდებოდა მათი მთლიანობა და ურღვევობა. კერძოდ, საქმისწარმოების წიგნების ნაწილი ზამბარით იყო დამაგრებული.

დაწესებულების ბიუჯეტიდან სამეცნიერო კვლევების დაფინასებებასთან დაკავშირებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ბიუჯეტში ნამდვილად იყო გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევების დაფინანსება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, გაეცნენ თუ არა ექსპერტები დაწესებულების ბიუჯეტს და გათვალისწინებული იყო თუ არა მასში სამეცნიერო კვლევების დაფინანსების საკითხი. ექსპერტთა ჯგუფის წევრის, გოჩა თუთბერიძის, განცხადებით, დაწესებულების ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო სამეცნიერო კვლევების დაფინანსება 10 000 ლარის ოდენობით. თუმცა, აქვე აღსანიშნავი იყო ის გარემოება, რომ დაწესებულების წლიური ბიუჯეტი შეადგენდა 300 000 ლარს. ამასთანავე, იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საიჯარო ქირა შეადგენდა ყოველთვიურად 10 000 აშშ დოლარს. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, გოჩა თუთბერიძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფისთვის ბუნდოვანი იყო აღნიშნული ბიუჯეტის მდგრადობისა და უზრუნველყოფის საკითხი. ასევე, ვიზიტის პერიოდში ბიუჯეტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ არც დოკუმენტალურად და არც ინტერვიუს დროს ექსპერტთა ჯგუფს ინფორმაცია არ მიუღია.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულების იჯარა ფინანსდებოდა მფლობელების მიერ და აღნიშნული თანხა არ იყო გათვალისწინებული ბიუჯეტში.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია, დაინტერესდა, გასულ პერიოდში დაუფინანსებია თუ არა დაწესებულებას სამეცნიერო კვლევები. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ისინი არ ფლობდნენ ინფორმაციას წინა მენეჯმენტის პერიოდში დაფინანსებული კვლევების შესახებ.

დაწესებულების საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ირაკლი მორგოშიას, განცხადებით, აღნიშნულმა დაწესებულებამ 2015 წელს გაიარა ავტორიზაცია და ინფრასტრუქტურული მიმართულებით მას შენიშვნა არ მიუღია. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, საავტორიზაციო პერიოდში დაწესებულებებში სტანდარტებთან შესაბამისობის გადამოწმების მიზნით, პერიოდულად ტარდებოდა გეგმიური მონიტორინგი.

იჯარის ხელშეკრულებასთან მიმართებით, დაწესებულების საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ვიზიტის პროცესშივე მოხდა საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლება.

ცენტრის წარმომადგენლის, თამარ შენგელიას, განმარტებით, ვიზიტის პერიოდში საიჯარო ხელშეკრულება არ იყო დარეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, შესაბამისად, დაწესებულება სამართლებრივად არ ფლობდა ფართს. ვიზიტის მეორე დღეს დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილ იქნა ამონაწერი, სადაც უკვე დარეგისტრირებული იყო საიჯარო ხელშეკრულება.

ვებ-გვერდთან დაკავშირებით დაწესებულების იურიდიული სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ დაწესებულებაში 2017 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად ვებ-გვერდის (www.tsa.ge) გადმობარება ვებ-დეველოპერების მხრიდან გაჭიანურდა. ამასთანავე, სერვერის IP განახლებას უზრუნველყოფდა სისტემა და შესაბამისად, ვებ-გვერდის განახლება დაწესებულებისგან დამოუკიდებლად მიმდინარეობდა.

საბოლოო დასკვნის სახით დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ვიზიტის პერიოდში დაწესებულებაში იდეალური სიტუაცია არ ყოფილა და მათი შეფასებით, დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაში იყო ავტორიზაციის სტანდარტებთან.

საბჭოს წევრმა, გიორგი ისაკაძემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და სთხოვა დაესაბუთებინათ, თუ რატომ უნდა შეწყვეტილიყო მათ მიმართ ადმინისტრაციული წარმოება ავტორიზაციის გაუქმებასთან მიმართებით. დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით, მათი დაწესებულების პრიორიტეტი იყო ახალი გუნდი, ახალი მიზნები, რამდენიმე მილიონიანი ინვესტიცია, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიონალიზმი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, აკადემიური პერსონალი საქმიანობდა თუ არა მხოლოდ აღნიშნულ დაწესებულებაში. ექსპერტთა განმარტებით, აღნიშნულ დაწესებულებაში დასაქმებული აკადემიური პერსონალის უმრავლესობა პარალელურად დასაქმებული იყო ტექნიკურ უნივერსიტეტში. ასევე, ადმინისტრაციული პერსონალის უმეტესი ნაწილი, მათ შორის დაწესებულების რექტორი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი დასაქმებული იყო სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა დაადასტურა, რომ მართალია იგი 2017 წლის ნოემბრიდან იყო დანიშნული ამ თანამდებობაზე, მაგრამ ფაქტობრივად მუშაობას ექსპერტთა

ჯგუფის ვიზიტამდე ერთი კვირით ადრე შეუდგა. ამასთან, მისი განცხადებით იგი ნამდვილად დასაქმებული იყო სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი, დაინტერესდა, რა არის აღნიშნული დაწესებულების უპირატესობა და რატომ უნდა გააკეთოს სტუდენტმა არჩევანი სწორედ მასზე. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულების პრიორიტეტს წარმოადგენდა საბიბლიოთეკო რესურსი, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა სახით შეაფასეს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან. მისი განცხადებით, წარმოდგენილი სილაბუსების ნაწილი სრულად არ შეესაბამებოდა სტანდარტებს. ამასთანავე, სილაბუსებში მოცემული სავალდებული ლიტერატურის უმეტესი ნაწილი იყო 2006 და 2007 წლების გამოცემა, რაც მიუთითებდა იმაზე, რომ სწავლების პროცესში არ გამოიყენებოდა ახალი, თანამედროვე საკითხავი მასალა. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ამ მიმართულებით მიმდინარეობდა მუშაობა, წლის განმავლობაში, საჭიროებიდან გამომდინარე, გადაიხედებოდა სასწავლო კურსები.

ექსპერტთა ჯგუფის წევრის, გოჩა თუთბერიძის, განმარტებით, აკადემიური პერსონალის შეფასებისას მათ იხელმძღვანელეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პერსონალის პირადი საქმეებით.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 18:52 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 19:08 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, 56^4-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 405051786) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

საბჭოს თავმჯდომარის, დავით აფრასიძის განმარტებით, საბჭოს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს: მონიტორინგის ვიზიტის მომენტისთვის დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები არ იყო თანმიმდევრული, ამასთან, საბჭომ ვერ დაინახა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის რეალური მექანიზმი მათ გასაუმჯობესებლად; სახეზე არ იყო დაწესებულების მართვის ეფექტიანი სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფდა ინსტიტუციის მდგრადობას; საბჭომ ვერ დაინახა, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები რეალურად გამოიყენებოდა დასწესებულების მართვაში; სასწავლო პროცესი ვერ მიმდინარეობდა სრულყოფილად, რადგან, მაგალითად, ვიზიტის დროს ბიბლიოთეკა არ ფუნქციონირებდა; დაწესებულების იჯარის ხელშეკრულება ვიზიტის მომენტისთვის არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, შესაბამისად დაწესებულება არ ფლობდა ფართს სამართლებრივად; დაწესებულების მატერიალური რესურსი ვერ უზრუნველყოფდა სასწავლო პროცესის გამართულად ფუნცქიონირებას; საბჭომ ვერ დაინახა დაწესებულების ფინანსური მდგრადობა; დაწესებულების მენეჯემნეტის ხშირი ცვლა ვერ უზრუნველყოფდა აკადემიური პერსონალისთვის მდგრად გარემოს.

2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარიის მიერ ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე და თვითშეფასების ანგარიშს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით საბჭოს მდივანს, რომ დაწესებულების განაცხადი და თვითშეფასების ანგარიში - დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა სხდომაზე განაცხადა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 14 დეკემბრის №43 გადაწყვეტილებით ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარიას მიენიჭა ავტორიზაცია. ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56[5]-ე მუხლის თანახმად, ის დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებდნენ მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამებს, ავტორიზაციასა და საგანმანათლებლო პროგარმების აკრედიტაციას გადიოდნენ განსხვავებული წესის შესაბამისად, რომელიც დადგენილი იყო ,,მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ავტორიზაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 16 აგვისტოს №135/ნ ბრძანებით. აღნიშნული ბრძანების მიხედვით მართლმადიდებლური საღვთისმტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, უფლებამოსილი იყო ცენტრში თვითშეფასების ანგარიშის წარდგნით, დაემატებინა საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე.

საბჭოს წინაშე საკუთარი თავი წარადგინა ლაშა ჩეკურიშვილმა, საქართველოს საპატრიარქოს წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის განათლების ცენტრის ხარისხის მართვის სამსახურის კურატორმა. მისი განმარტებით, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარიის სურვილი იყო დამატებით განეხორციელებინა ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია დაინტერესდა თუ რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავდა დაწესებულება აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პირველ ეტაპზე იგეგმებოდა 16 სტუდენტის მიღება, რომლებიც ახალციხის მაცხოვრებლები იქნებოდნენ.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი დაინტერესდა, თუ როგორ ხდებოდა მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების ჩარიცხვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდნეტები ეროვნულ გამოცდებზე აბარებდნენ მხოლოდ ერთ საგანს - ქართულ ენასა და ლიტერატურას. ხოლო თითოეულ საღვთიმსმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შიდა რეგულაციებით განსაზღვრული ჰქონდა დამატებითი მიღების წინაპირობები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარიისათვის ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 16 აგვისტოს №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ავტორიზაციის წესის" მე-2[1] პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 424069242) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა:

№	აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ბაკალავრიატი	ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობა	ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრი	240

3. შპს თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ ჰიპოკრატეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას, შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით საბჭოს მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლია ღლონტმა. ექსპერტის განმარტებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეფასდა ავტორიზაციის ძველი სტანდარტებით, რადგანაც დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2017 წლის 18 და 19 დეკემბერს. იმ დროისთვის არსებული რეგულაციებით კი, 2018 წლის 1 იანვრამდე განხორციელებული მონიტორინგის შეფასებები უნდა მომხდარიყო ავტორიზაციის ძველი სტანდარტებით. ექსპერტმა წარადგინა ის ძირითადი მიგნებები, რომლებიც დაფიქსირდა ავტორიზაციის თითოეულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენისას.

ლია ღლონტის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფი მიღებული ინფორმაციის შეფასების შედეგად მიიჩნევდა, რომ **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან; **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან; **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს და ასევე, განაცხადა, რომ საბჭოს წევრები იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით.

დაწესებულების საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის განმარტებით, დაწესებულებისთვის პრიორიტეტული იყო საინფორმაციო და მატერიალური ინფრასტრუქტურის გამართვა, შესაბამისად, ამ მიმართულებით დაწყებული იყო და სატესტო რეჟიმში მიმდინარეობდა რამდენიმე პროექტი. მაგალითად, სტუდენტთა მართვის ელექტრონულ სისტემაში მონაცემები სრულიად შეყვანილი იყო და გაზაფხულის სემესტრიდან სტუდენტები შეძლებდნენ მისით სარგებლობას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ელექტრონული ბიბლიოთეკა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე ამოქმედდა, შესაბამისად, ვიზიტის პერიოდში ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის სტატისტიკა მის იშვიათ მოხმარებაზე მიუთითებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტთა ჯგუფს მიმართა, განემარტათ ელექტრონულ ბიბლიოთეკასთან მიმართებით მათი შენიშვნა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით, ელექტრონული ბიბლიოთეკის სამომხმარებლო ბაზაში დარეგისტრირებული იყო მხოლოდ 3 აკადემიური პერსონალი და 13 სტუდენტი. ამასთანავე, მათ აღნიშნეს, რომ დაწესებულების ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგი შეესაბამებოდა მოთხოვნილ სტანდარტებს, ამიტომაც მათ ინტერვიუების დროს დააზუსტეს მომხმარებელთა მცირე რაოდენობის მიზეზი. სტუდენტთა

განმარტებით, საგანმანათლებლო პროცესში მათ არ სჭირდებათ ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსი.

საერთაშორისო ელექტრონულ სამეცნიერო ბაზების მოხმარებასთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათი მოხმარების ინტენსივობის გაზრდის მიზნით, დაწესებულებამ სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ჩაატარა ტრენინგი.

ინტერნეტის ხელმისაწვდომობის საკითხთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ვიზიტის პერიოდში შენობის გარკვეულ ნაწილში ინტერნეტი არ იყო ხელმისაწვდომი. რაც შეეხება ვებ-გვერდს, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური 2017 წლის დეკემბრის თვის განმავლობაში ახორციელებდა ვებ-გვერდის სრულ განახლებას. IP მისამართების განახლება მიმდინარეობდა ავტომატურ რეჟიმში, შესაბამისად, დაწესებულებისგან დამოუკიდებლად, ამ პერიოდს დაემთხვა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. სწორედ ამ ფაქტორმა გამოიწვია ვებ-გვერდის გარკვეული ნაწილის გათიშვა.

ფარმაცევტულ ლაბორატორიასთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ ლაბორატორიაში მუშაობდა გამწოვები, ხოლო რეაქტივები, ლაბორატორიის ხელმძღვანელის დასტურით, შეესაბამებოდა მოთხოვნილ სტანდარტებს. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ლაბორატორიაში ნამდვილად იყო ვადაგასული (1980 წ.) რეაქტივი.

საბჭოს წევრის, კონსტანტინე სირბილაძის განცხადებით, საბჭოზე წარმოდგენილი ლაბორატორიის ფოტო არ ადასტურებდა ლაბორატორიის შესაბამისობას მოთხოვნილ სტანდარტებთან.

სიმულატორებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ვიზიტის პერიოდში მულაჟების ნაწილი დასაწყობებული იყო. მათი განმარტებით, აღნიშნული სიმულატორები ვიზიტამდე 2 კვირით ადრე შეიძინა დაწესებულებამ და მათი მონტაჟი გარკვეულ დროს მოითხოვდა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთის ადაპტირებულ გარემოსთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ვიზიტის პერიოდში პანდუსების ნაწილი დასაწყობებული იყო დაწესებულების ეზოში, ხოლო 5 სველი წერტილიდან არცერთი არ იყო ადაპტირებული. მათი განმარტებით, თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის პერიოდში დაწესებულების სველი წერტილები ადაპტირებული იყო სსსმ პირებისთვის, თუმცა, არ აკმაყოფილებდა მოთხოვნილ სტანდარტებს და მოხდა მათი დემონტაჟი.

აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციასთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგელებმა განაცხადეს, რომ ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფს ინტერვიუ ჰქონდა მხოლოდ ერთ უცხოელ სტუდენტთან, შესაბამისად, მათი აზრით, ერთი სტუდენტის მოსაზრების მიხედვით არ დასტურდებოდა, რომ სასწავლო კურსების განმახორციელებელთა უმეტეს ნაწილს ინგლისური ენის კომპეტენცია არ გააჩნდა. ამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ლია ღლონტმა, განმარტა, რომ თავად დაწესებულებაში სტუდენტებთან ინტერვიუს გარდა, სასწავლო ბაზაზე ვიზიტისას ისინი გაესაუბრნენ დამატებით 2 უცხოელ სტუდენტს. გასაუბრებისას მათ დაადასტურეს, რომ აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენცია არ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს. ექსპერტთა განცხადებით, დაწესებულებას ჯამში ჰყავდა 7 უცხოელი სტუდენტი, რომლეთაგანაც 3 ადასტურებდა ზემოაღნიშნულს.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლებით განსაზღვრული სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევების განვითარებისთვის დათმობილი იყო არანაკლებ 10 კრედიტისა (ბიოსტატისტიკა - 4 კრედიტი,

ეპიდემიოლოგია - 2 კრედიტი, სამეცნიერო ბიოქიმია მცირე ლაბორატორიული კვლევებით II- 6 კრედიტი, საიდანაც 2 კრედიტი კვლევით კომპონენტს ეთმობოდა და აკადემიური წერა - 2 კრედიტი). ამასთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნატო ალავიძემ განმარტა, რომ მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლებით განსაზღვრული სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევების განვითარებას ჩამონათვალიდან მხოლოდ 2 საგანი - ბიოსტატისტიკა და ეპიდემიოლოგია, უზრუნველყოფდა, დანარჩენი სასწავლო კურსებით კი, შეუძლებელი იყო, სამეცნიერო კვლევების უნარ-ჩვევების განვითარება. ექსპერტთა განცხადებით, აღნიშნული პრობლემა დაფიქსირებული იყო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესის დროს რეკომენდაციებში (2012 წ.), თუმცა, აღნიშნული საკითხი დღემდე არ იყო გათვალისწინებული დაწესებულების მიერ. საბჭოს წევრის, რიმა ბერიაშვილის განმარტებით, დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებაში ხდებოდა ცნებათა აღრევა, კერძოდ, მედიცინაში ფაქტების მოძიება (search), კვლევა (research) და მეცნიერება (science) ერთი და იგივეს არ გულისხმობდა, სამეცნიერო კვლევების უნარ-ჩვევების განვითარება ნიშნავდა როგორც მონაცემთა მოძიების, ასევე, განსაკუთრებით, ფუნდამენტური კვლევის უნარების გამომუშავებას.

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებში „მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის" მიხედვით განსაზღვრული კლინიკური უნარ-ჩვევების სწავლებისათვის განკუთვნილი არანაკლებ 20 კრედიტის ასათვისებლად, ექსპერტთა განცხადებით, პროგრამის სილაბუსებში მხოლოდ 10 კრედიტი იყო თვალსაჩინო. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, კლინიკური უნარ-ჩვევების სწავლებისთვის გამოყოფილი საათები სხვადასხვა კურსში იყო გადანაწილებული. ექსპერტთა განცხადებით, როგორც ინტერვიუს დროს, ასევე წარმოდგენილი სილაბუსების განხილვისას, აღნიშნული არ დადასტურდა. ამასთანავე, მათი განცხადებით, კლინიკური უნარ-ჩვევების შეფასება შესაბამისი მეთოდებით არ ხდებოდა, შესაბამისად, არ იყო გარკვეული, როგორ ხდებოდა აღნიშნული უნარების სავალდებულო რეჟიმში განვითარება. ხოლო რაც შეეხებოდა კლინიკური უნარ-ჩვევების ლაბორატორიას, ვიზიტის პერიოდში, დაწესებულებას არ ჰქონდა მოწყობილი, შესაბამისად, სტუდენტებისთვის არ იყო ხელმისაწვდომი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, როგორ მიმდინარეობდა დაწესებულებაში გამოცემული აქტებისა და კორესპოდენციის აღრიცხვა. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ვიზიტის განმავლობაში გამოცემული აქტებისა და კორესპოდენციის ჟურნალები არასრული სახით იქნა წარმოდგენილი, კერძოდ, ბრძანებების ჟურნალში ჩანაწერების გაკეთება დაწყებული 2010 წლის ბრძანებებით - რეგისტრირებული იყო მხოლოდ 4 ბრძანება, შემდეგ კი გრძელდებოდა 2015 და 2016 წლების ბრძანებებით. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, წყალდიდობის დროს დაზიანდა და განადგურდა ყველა დოკუმენტაცია და ამჟამად მიმდინარეობდა მათი აღდგენა.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე, დაინტერესდა, თუ როგორ ახორციელებდა დაწესებულება ძირითადი საგნების - მაგ. ბიოქიმიისა და ქიმიის ლაბორატორიულ სამუშაოებს. მისი განცხადებით, დაწესებულების ლაბორატორიებში აღჭურვილობა არ შეესაბამებოდა მოთხოვნილ სტანდარტებს და წარმოდგენილ პირობებში შეუძლებელი იყო სათანადო ლაბორატორიული სამუშაოების შესრულება. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, აღნიშნული ლაბორატორიები 2015 წლის წყალდიდობის პერიოდში განადგურდა და ამჟამად მიმდინარეობდა მისი განახლება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა გარე მობილობის შემთხვევაში სტუდენტისთვის დაწესებული გადასახადის საკითხით. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით, გარე მობილობის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებული იყო წინასწარ გადაეხადა მომდევნო სემესტრის სწავლის საფასური. მათი

განმარტებით, აღნიშნული ჩანაწერი ხელშეკრულებაში ჩადებული იყო დაწესებულებისათვის ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად და აღნიშნული თანხის გადახდა მათ არ მოუთხოვიათ არცერთი სტუდენტისთვის. ცენტრის წარმომადგენლის, თამარ შენგელიას, განცხადებით, აღნიშნულ საკითხზე ცენტრში წარმოდგენილი იყო ერთ-ერთი სტუდენტის საჩივარი. აღნიშნული განცხადება წარმოდგენილ იქნა საბჭოს სხდომაზე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, უმეტეს შემთხვევაში, რა მიზეზით უჩერდებოდათ სტუდენტებს აქტიური სტატუსი და რამდენი სტუდენტი ასრულებდა საბოლოოდ საგანმანათლებლო პროგრამას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, უმეტეს შემთხვევაში, სტუდენტებს აქტიური სტატუსი უჩერდებოდათ ფინანსური დავალიანების გამო, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამას სტუდენტთა დაახლოებით 70 % ასრულებდა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ფარმაციის მენეჯმენტის პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციით. ექსპერტთა განმარტებით, ვიზიტის პერიოდში მათ მიერ გადამოწმებულ იქნა პროგრამის აკრედიტაციისას (2012 წ.) გაცემული რეკომენდაცია პროგრამის სფეროდან გამომდინარე მის განხორციელებაში ბიზნეს ადმინისტრირების კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის ჩართვის თაობაზე. მათი განცხადებით, აღნიშნული რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული. ამჟამად პროგრამას ახორციელებდა: 2 ფარმაციის დოქტორი (პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია იყო ფარმაციის დოქტორი და ამ ეტაპზე არცერთი სასწავლო კურსის განხორციელებაში არ იყო ჩართული), 6 მედიცინის დოქტორი და 1 ქიმიის დოქტორი.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 20:49 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 21:20 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ ჰიპოკრატესთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, 56^4-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, შპს თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ ჰიპოკრატეს (საიდენტიფიკაციო კოდი: 205005439) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

საბჭოს თავმჯდომარის, დავით აფრასიძის განმარტებით, საბჭოს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს: სახეზე იყო დაწესებულების მიერ კეთილსინდისიერების პრინციპის დაუცველობა. კერძოდ, 2017 წელს ცენტრში წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში დაფიქსირებული ინფორმაცია არ შეესაბამებოდა მონიტორინგის ვიზიტის დროს არსებულ ვითარებას (მათ შორის, რომ სასწავლო გარემო თითქოსდა იყო კანონის მოთხოვნების მიხედვით ადაპტირებული, არადა ადაპტირების ქვესტანდარტი რეალურად არ იყო დაკმაყოფილებული); სტუდენტებთან დადებულ ხელშეკრულებებში მობილობის შემთხვევაში მომდევნო სემესტრის საფასურის გადახდის მოთხოვნა, ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა დაწესებულების კეთილსინდისიერებას; საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების, კერძოდ სამეცნიერო და კლინიკური უნარ-ჩვევების განმავითარებელი კურსების მედიცინის დარგობრივ მახასითებელთან შეუსაბამობის ნაწილში; ზოგადად, საბჭომ მიიჩნია, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა ხარისხის უზრუნველყოფის ქმედითი შიდა მექანიზმი; ასევე, საინფორმაციო ტექნოლოგიები არ გამოიყენებოდა დაწესებულების მართვსა და სასწავლო პროცესში; აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხლეშეკრულებები არ იყო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 21:27 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
მაკა გველესიანი